

# ივერია

გაზეთი		დირი:	
მან.	კ.	ოცე	მან.
10	—	6	6
9	50	5	5
8	75	4	4
8	—	3	3
7	25	2	2
6	50	1	1

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტფილისი.  
გაზეთის დასაბარებლად  
და განცხადებათა დასაბეჭდად  
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის  
გამყარ. საზოგადოების კანცელარიას.  
ფასი განცხადებისა:  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კაპ. მეოთხედზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულის გამო შემდგომი გამოვა ხუთშაბათს, 16 ნოემბერს.

ტფილისი, 14 ნოემბერი.

**თავადნი ძაინოსრო, ლუარსაბ და ალექსანდრე ოტინას**  
ქანი შივიანნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და  
ნაცნობთა გარდაცვალებას უფროსის ძმის მათის **თავ. კოსტანტინე**  
**ოტინას ძის შივიანისა**, რომლის ტირილი და დასაფლავებაც  
მოხდა 11 ნოემბერს, შაბათს, დილის 9 საათზედ.  
(1—2029—1).

**ქართული თეატრი.**  
ოთხშაბათს, 15 ნოემბერს, 1895 წ.  
„ქართულ დრამატულ საზოგადოების“  
დასასაჯან  
წარმოდგენილი იქნება  
საბუნებისოდ ქ. ბ. ა. ავალიშვი-  
ლისა  
ბ. კ. ყიფიანის, კ. მესხისა და ალექ-  
სი-მესხიშვილის მონაწილეობით

**მარგარიტა გუტიე**  
დრამა 5 მოქმ. დიუმა-შეილისა, თარგმანი  
პატარა მიერ.  
მონაწილეობას ღებულობენ: ავა-  
ლიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძი-  
სა, ბეზირგანოვისა და სხვ. ბ-ნი  
ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, კ. მე-  
სხი, გუნია, სვიმონიძე, გვდევანოვი,  
კანდელაკი, ადამიძე და სხვ.  
ადგაფების ფასი ჩვეულებრივია.  
მოწვევებისათვის ადგილები ლოჯი-  
ბის უკან 65 კაპ.  
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.  
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

## ფელეტონი

მკლიანს გზავილ.  
(მოთხოვნა).

I  
— გმადლობ შენ შემოქმედო! ათი  
წლის მდგარი შრომა-მუშაობის შემ-  
დეგ დღეს თავისუფლად ამოსუნთქვა  
მედირსა. ჩემი იმედი, სურვილი თუ  
დღემდის საეჭვო იყო, დღეს ეჭვი—  
უიმედობა სულ მეტია. ესლა, დაუ-  
ლაღავი თავისუფალი შრომა და ცდა  
მხოლოდ საქრო, რომ სავსებით  
დაესტკებ ჩემი გულწრფელი სურვი-  
ლისა და წმინდა შრომის ნაყოფით.  
თუმცა უფრო დიდი მოვალეობა მა-  
წყვეს, შრომაც უფრო მდგარი მო-  
მელის, რომ ჩემს უარაობის წყველ-  
ადში მყოფ თანამოძმეთ ჯეროვანი  
სამსახური გავეუწო, მაგრამ სრული  
იმედი მაქვს ყველა ქეშარიტი მამუ-  
ლიშვილი დამეხმარება—ხელს შე-  
მიწყობს და ნატვირთ უღელს ერთი-  
ორად გამიადვილებს, შემომსუბუ-  
ქებს... საზოგადო სამსახურთან ერ-  
თად ჩემს მოხუცებაში შესულს დე-  
დასაც დავეხმარები, შრომას შევეუ-  
ბოლებ და სიცოცხლის უკანასკნელს  
დღემდე დავუტკობ... დმერთო შე-  
ნითა!...

**გაგმა კომიტეტს „ტფილისის**  
**გუბარნიის თავად აზნაურთა სა-**  
**ზოგადოების ღარიბ მოსწავლე-**  
**თა შემოფარებისათვის“** აქვს პატივი  
ამით აუწყოს წევრთა ამა საზოგადო-  
ებისას, რომ **საბანგაშო საზოგა-**  
**დო კრება** წევრთა დანიშნულია ამ  
წლის 16 დეკემბერს, საღამოს 7<sup>1</sup>/<sub>2</sub>  
საათზედ (თუ სად იქნება კრება ამა-  
ზედ განსაკუთრებით განცხადება იქ-  
ნება).

განსახილველი საგნები:  
1) გურგინბეკოვის სახლის სყიდ-  
ვის შესახებ, სადაც ამ ქაზად იმყო-  
ვება სათავად-აზნაურო სკოლა.  
2) განხილვა პროექტებისა, რომე-  
ლიც წარმოუდგინა უკანასკნელ წლი-  
ურ საზოგადო კრებას სათავად-აზ-  
ნაურო სკოლის ტაბის შესახებ და-  
ნიშნულმა კომისიამ  
და 3) მოხსენება გამე კომიტეტი-  
სა იმ საშუალებებზედ, რომელთა  
შემწეობითაც შესაძლებელი იქნება  
საზოგადოების ვალის მალე გარდახ-  
და. (4—2).

ასე ოცნებობდა 20 წლის ახალ-  
გაზდა ახლად სწავლა-დამთავრებული  
ქალი თიკო. უკანასკნელს ეგზამე-  
ნებს თიკოს სახე თუმცა მოექანცა,  
მიანც იმის ცხოველ შავ თვალებს  
გამბედავი და იმედით სავსე გამო-  
მეტყველება ჰქონდა. თიკომ ერთ-  
ხელ კიდევ გადაიკითხა საერო სასწა-  
ვლებელთა უფროსისაგან ქ. ს—ში  
კერძო მესამე ხარისხის სკოლის გახ-  
სნის ნება-ართვა, ფრთხილად დაჰკეცა  
ქაღალდი, თავისს ყუთში შეინახა და  
გამოტრიალდა.

— მართლა, წამოიძახა თიკომ და  
პატარა უბის საათი ამოიღო; აგერ  
სადაც არის ცხრა საათი შესრულდე-  
ბა და მე-კი ვივლიანებ. საქაროდ  
მოემზადა და აჩქარებით გაემგზავრა  
ამხანაგისაკენ, სადაც პირობისამებრ,  
ყველა იმისი ამხანაგები უნდა შეყრი-  
ლიყვნენ. ერთი კვირის წინად თი-  
კოსთან ერთად ექვსმა ქალმა საშუა-  
ლო სასწავლებელში სწავლა დაამ-  
თავრა და მასწავლებლობის მოწმო-  
ბა მიიღო. იქვე სასწავლებელში  
ამხანაგებმა გადაწყვიტეს ამ საღამო-  
თი ერთად შეყრილიყვნენ; უკანასკ-  
ნელად ერთმანეთისათვის საკუთარი  
აზრი—იმედი გაეზარებინათ და გზა  
დაელოცნათ, რადგან ჩვენის ქვეყნის  
სხვა-და-სხვა კუთხეში აპირებდნენ  
წასვლას.

შუა-გული, შუა ნასკვი ვგრედ  
წოდებულ აღმოსავლეთის საქმისა  
ოსმალოეთია, სხვა ყოველი წვრილმა-  
ნი ძაფია, ამ დიდ ნასკვში მოქცეუ-  
ლი და ჩართული. ეს ყველამ კარგად  
იცის. დღევანდელის პოლიტიკის  
ტყვილიც დღეს სწორედ ეს არის.

ყველამ ისიც იცის, რომ ოსმალოე-  
თი ერთს იმისთანა საქმელსა ჰგავს,  
რომელიც მეტად გემრიელია და ამა-  
სთანავე მეტად მაწყინარიც. ამიტო-  
მაც ერთის მხრით იგი სანდომია და  
მეორეს მხრით საშიშარი. ყველას  
მოეხსენება, რომ თვითვეული დიდი  
სახელმწიფო ევროპისა და იმისთანა  
პატარაებიც, როგორც საბერძნე-  
თია და ბალკანეთის სამეფონი, ამ  
გემრიელს კერძს დიდი ხანია თავს  
დასტრიალებენ, როგორც სვავნი  
მძოვრს, და ყველას კლანჭი გავწი-  
ლი აქვს კარგი ნაჭერი ხელთ ოდღოს  
და თუ დღეს აქამომდე მსუნავობას  
და ხარბობას—პოლიტიკისას კლანჭი  
არ გამოუკრავს, ეგ იმას უნდა მივა-  
წეროთ, რომ ყველა უფროსის ამ  
გზით გაბედოს რამე. საქმარისა ერ-  
თმა რომელმამე ხელი გაიწვდინოს  
მსუქანის ნაჭრის ხელში ჩასავლებად,  
მაშინვე აირყვას მონასტერი, დიდ-  
პატარა ერთმანეთს დაეჯახება და მი-  
შინ ვინ იცის, ვინ წინა და ვინ  
უკან. აი საშიშარი მხარე ამ ვგრედ  
წოდებულ აღმოსავლეთის საქმისა.  
ეს მხარე მისი ღონეც და უღონო-  
ბაც.

ყველანი დარწმუნებულნი არიან

ამხანაგები დანიშნულს ადგილს  
უკვე შეკრებილიყვნენ, როცა თიკო  
მივიდა. თიკოს ამხანაგები სიამოვნე-  
ბით მიეგებნენ და სამშობლო ქალაქ-  
ში სკოლის გახსნის ნება-ართვის მი-  
ღება მიულოცეს. მტირე უმნიშვნე-  
ლო კითხვა-პასუხის შემდეგ ქალები  
ოთახის შუაგულ მდგომს მაგიდას  
მოუსხდნენ.

— საზოგადოება ერთხმად გვიჩი-  
ვის, რომ ჩვენ ქალებმა ოჯახზედ  
ავიცრუეთ გული—დაიწყო ერთმა იქ-  
დამსწრეთაგანმა, როცა ქალები და-  
წყნარდნენ. უმნიშვნელო და ყოველ  
მხრივ დამცარავ დროს ტარებას თავ-  
დავიწყებამდე ვალვეთ ჩვენს ქუა-  
გონებას, ძალ-ღონეს; ჩვენთვის რომ  
ვსთქვათ, ეს საყვედური სიმატლეს  
სრულიად არ არის მოკლებული. ამა  
მაშ ქალებმა ვეცადეთ, როგორც და  
რითაც-კი შეიძლებოდეს, ეს, თით-  
ქმის რწმუნად გადაქცეული აზრი, სა-  
ზოგადოებას შეეცავლეინათ.

— მართალს ამბობს, დაუმატა მე-  
ორე დამსწრეთაგანმა, სწორედ რომ  
ჩვენ, რომელთაც დრო და გარემო-  
ების დაგვარი სწავლა შევიძინეთ, დი-  
ად მოვალენი ვართ მეტის მხნეობით  
ვეცადოთ და საზოგადოება დავარწ-  
მუნოთ, რომ ხშირად „ისე არ წვიმს,  
როგორც ჰქუტს ხოლომე“.  
— სხვა თუ არა გვიპირავს-რა ხელ-

და საბუთიანის შიშით შეპყრობილ-  
ნი, რომ თუ ერთი რამ დანიძრა იმ  
შენობისა, რომელსაც აღმოსავლე-  
თის საქმეს ეძახიან, არამც თუ თმა  
ყალბზე შეუდგება ევროპის პოლი-  
ტიკას, არამედ ყველა ხალხზედ ხელს  
წაივლებს და ტყვი-წამალი-და, თოფ-  
ხარბზანი და შეიქმნება მოცი-  
ქულად ერთმანეთზედ სასიკვდი-  
ლოდ მისეულ სახელმწიფოთა შო-  
რისა. ამიტომაც დღეს ყველას  
ენაზედ მარტო ეს აკრია: შეტოკ-  
და იგი შენობა, თუ არა? საშიშარი  
აღმოსავლეთის საქმე წამოდგა ფეხ-  
ზე და მთელის თავის ტანით გამო-  
ეჭიმა ქვეყანას, თუ არა? მოვიდა  
დრო ოსმალოეთის დარღვევისა და  
ევროპილამ განდევნისა თუ არა?

დიპლომატია ამის პასუხს ჯერ სა-  
მალაგში ჰმალავს. ყური კი რომ და-  
გუგდოთ ამ ყბედად ცნობილს დიპლო-  
მატიას, აქედამ ჰოც გამოდის და არა-  
ცა. არც საკვირველია ეს ორპობი, ეს  
ორ-პირი მოქმედება დიპლომატიისა.  
იგი, მართალია, დაუზარებელი ყბე-  
დია, მაგრამ იმისთანა ყბედია, რო-  
მელიც დიდიდამ საღამომდე უნდა  
პლაქაქებდეს და მიანც არა სთქვას-  
რა და, რაც შეიძლება, სათქმელი  
ღრმად დაიმალოს გულში. ამისთანა  
უნარი დიპლომატიისა შემთხვევას  
აძლევს ეურნალ გაზეთობას კალმები  
აწრიბინოს და თავისებური ბილიკები  
დაჰქნას იმ სამალავის კარის გასაღე-  
ბად, საცა დიპლომატია თავის გუ-  
ლის ნადებს ინახავს.

ამ ეურნალ-გაზეთობას რომ ვკით-  
ხოთ, ინგლისი ტყუილად ფახი-ფუ-  
ხოზო, ტყუილად შრევა, რომ

ში, ჩაერია მესამე, ქალებო, მასწავ-  
ლებლობის ასპარეზი ჩვენთვის ღიაა.  
თვით ბუნებას ბავშვების აღზრდა  
ჩვენთვის მოუნიჭებია. განა სალაპა-  
რაკოა, თუ რა დიდი მნიშვნელობა  
აქვს დედას? ყველამ კარგად ვუწ-  
ყით, რომ ბავშვის მომავალი ავ-კარ-  
განობა დედის ზნეობრივ და გო-  
ნებრივ ზედგავლენის შედეგია. გა-  
მოჩენილმა პედაგოგებმა დიდი ხანია  
ქეშარიტებად აღიარეს, ბავშვის აღ-  
ზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს დე-  
დასაო. ჩვენც, ქალებო, ვახსენოთ  
ღმერთი და გულის სწმიდით, ჯეროვა-  
ნის მხნეობით, როგორც დედა-მას-  
წავლებელნი ჩვენის მოვალეობის აღ-  
სრულებას შევუდგეთ.

— ყველა კარგი და პატიოსანი,  
ხმა ამოიღო მაღალ-მაღალმა გამხდარმა  
ქალმა, რაც სთქვით, მეტად სასიამოვნო  
მოსამენია და მისი განხორციელება  
უთუოდ საქრო და სანატრელია,  
მაგრამ რად გავიწყდებოთ, რომ ჩვენი  
ყოველივე ცდა და შრომა ერთობ  
უმანძილო, უნაყოფო იქნება, თუ  
თვით საზოგადოება ჯეროვანს დახ-  
მარებას არ გავიწყვეს. ჩემის აზრით  
აუცილებლად საქროა თვითოველმა  
ჩვენთაგანმა პირველშივე საზოგადო-  
ების ნდობა-პატივისცემა დავიმსახუ-  
როთ. ყველა საზოგადო ასპარეზზედ  
მოამქმედი ადამიანის შრომა, მხო-

აღმოსავლეთის საქმე აშალოს და  
აწეწოსო. დიდ შეცდომად და ცოდ-  
ვად უთვლიან ინგლისს, რომ ამ გზა-  
ზედ გამოვიდა და გაბედულად იძა-  
ხის: დროა ეს ძირ-გამოთხრილი  
შენობა დაირღვას, დაიქცესო, დროა  
ეს მძოვრი—ოსმალოეთი ევროპილამ  
გაიადვენოს და სხვა ამისთანაო.

ჩვენის ფიქრით, ტყუილადა სცე-  
მენ კეინას ინგლისსა. ინგლისს თა-  
ვისს სვე-ბედის თავში იმისთანა კა-  
ცები ჰყოლია და დღესაც ჰყავს, რომ  
ისინი ისე ადვილად არ შესცდებიან,  
რომ ჩვენისთანა კაცებმა შეცდომა  
გაუსწორონ. ინგლისმა კარგად იცის,  
რას მოქმედობს და რას ეტანება.  
იგი ისე არ წაადგება სახტომს, რომ  
ჯერ ათასჯერ არ გადაზომოს და  
სახტომი თავისს ღონეს არ შეუწო-  
ნოს. ინგლისმა კარგად იცის, რა  
ლუკმა ოსმალოეთი და რა ხარბი და  
მსუნავია ყოველი სახელმწიფო, რა-  
ცა ამისთანა ლუკმაზე მივარდება  
ხოლომე საქმე. ეს დაუძინებელი სი-  
ხარბე და მსუნავობა იმისთანა ძალ-  
მომრევ თვისებისა და ბუნებისა არის,  
რომ რა-კი აღვირი დაბლუჯა და  
გაიწია, არ მოერიდება, რომ გუშინ-  
დელი მტერი დღეს კაცმა მოყვრად  
გახადოს და გუშინდელი მოყვარე  
მტრად.

ამისი მავალითი ბევრია და სხვათა  
შორის ავსტრ-უნგრეთია. განა დი-  
დი ხანია მას აქედ, რაც ინგლისმა  
ავსტრ-უნგრეთს მწყრაოდ და გა-  
ბედულად შესძახა: ხელები შორსო!  
და დღეს, როცა აღმოსავლეთის სა-  
ქმე ცოტად თუ ბევრად აიშალა,  
რას ვხედავთ? ავსტრია მიეკედლა

ლოდ მაშინ არის ღირს-შესანიშნავი  
და ნაყოფიერი, როცა კერძოდ მომ-  
ქმედს და საზოგადოდ თვით ნამოქ-  
მედარს საზოგადოება ნდობით ეკი-  
დება. დამერწმუნეთ, ქალებო, რომ  
თუ შევიძლებთ ამას, მაშინ ჩვენი  
სურვილის და იმედების აღსრულება  
ერთი-ორად გავგვიადვილდება. ნდობა  
იმ საზოგადოებისა, სადაც ცხოვრობ  
და მოქმედებ, ყოველი კეთილი და  
პატიოსანი მოქმედება—წარმატების  
ქვა-კუთხედაია.

— მართალი შენიშნაა, კატო,  
უპასუხა თიკომ. თუ პირველშივე სა-  
ზოგადოებას ისე არ გავუცანით ჩვენი  
თავი, რომ თავისის ნდობის ღირსად  
გვიცნო, მაშინ ხომ ჩვენი მომავალი  
საქმე ხორც-შეუსხმელ ჩონჩხად დარ-  
ჩება. უამისოდ ვინ მოგვანდობს შეი-  
ძლების აღზრდას, მათის მომავალი  
ცხოვრების დედა-ბოძის ჩანერგვას?  
სრულიად გეთანხმები, კატო; მხო-  
ლოდ ურიგო არ იქნება ესლავე გა-  
მოვარკვიოთ, თუ რა გვარი მოქმე-  
დება, ქვევა მოგვაპოვიანებს საზო-  
გადოების ნდობას.

— ეგ მეტად ძნელია წინადვე გა-  
მოვიცნოთ, უპასუხა კატომ. საზოგა-  
დოება, იმისი ყოფა-ცხოვრება, მისწრა-  
ფება ზედ-მიწევრით უნდა ვიცოდეთ,  
რომ გარდაწყვეთი შეგვეძლოს  
ვთქვათ, თუ მას ჩვენი საქმე როგორ შე-



თითქმის ინგლისის და ინგლისმატ თითქმის გულში ჩაიკრა. ან დასაჯერებელი იყო ამ ცოტა ხნის წინედ, რომ იტალია და ავსტრია სადმე ფეხს ერთად გადასდგამდნენ? მართალია, ორნივე ესენი წვევრი იყვნენ სამთა კავშირისა, მაგრამ ერთმანეთზე დიდი ხანია გული აყრილი ჰქონდათ და თუ ამათ ერთობდა რამ, ეს გამარჯვებულის და გაძლიერებულის გერმანიის ძალ - მომრეობა იყო. მაინცა - და - მაინც სამთა კავშირის საკუთარ საქმის გარეთადა, სხვაგან ყოველგან ეს ორნივე სიხელმწიფონი ერთმანეთს მტრულის თვლით უყურებდნენ. და ესაა რას ვხედავთ დღევანდელ აწეწილ აღმოსავლეთის საქმის გამო? ორნივე ერთად იღვწიან ინგლისის სამხროდ. ან თვითონ გერმანიას აიღეთ. დღეს აქამოდ იფიქრებდა განა ვინმე, რომ ავსტრიას და იტალიას იგი ხელს გაუხსნიდა ცალკე მოქმედებისათვის, როგორც ამას დღეს ვხედავთ? სადღა დღეს ის ძალ-ღონე სამთა კავშირისა, როცა გერმანიას ორს თავის მოკავშირეს ეუბნება აღმოსავლეთის საქმის გამო, თქვენ როგორც გნებავთ, ისე მოიქცით და მე-კი დრომდე არც იქით ვაიწვივ, არც აქედმე მოვუცდი დრო და ჟამი რას იტყვისა და ისე მოვიქცევით.

ამაგების მაცურებელისათვის განა საქმე არ არის ეს ხელ-და-ხელი მაგალითები დასარწმუნებლად, რომ ინგლისს კარგად გამოხატული აქვს თვალწინ იგი გზა, რომელზედაც ასე გაბედულად ამ ბოლოს დროს გამოვიდა და, იგი საგანი, რომელსაც ეტანება მისაღწევად და რომელსაც ინგლისი ჯერ კარგად დიდ-ხანს გულიდამ ვერ ამოიღებს უიმისოდ, რომ დიდს საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავდოს თავისი ძალ-ღონე და ძლიერება, როგორც შინ, ისე გარედ.

ჯერ მინამ საქმე ისე მიდის, როგორც ხსენებული მაგალითები ნიშნობლივ გვისახვენ, ვერა ვისაგან

ვუფარდოთ. სასწავლებელმა მაგ მხრივ არა გვასწავლა-რა. თვითონ ჩვენც თუ რაიმე ვიცით, ჩვენის საზოგადო ცხოვრებისა, ისიც ძლიერ სუსტად და მკრთალად. ეს ჩვენი ნაკლი თვით საზოგადოებაში ცხოვრებამ უნდა შეივსოს. მართა აღმდანი ძლიერ ხშირად სცდება ამა თუ იმ საგანზედ გარდაწყვეტილი აზრი შედგინოს; ამიტომ, ქალებო, დავსდოთ პირობა, რომ ერთმანეთის დაშორება ჩვენ შორის ერთობა-კავშირის არ შესწყვეტს, ერთურთს წერილობით ჩვენი მომავალი მოქმედება ვაფუზიაროთ ხოლმე. თუ არაფერს დავუშალავთ ერთმანეთს საკუთარს და საქმის ყოველივე წვლილს გავაცნობთ, მაშინ ძლიერ ადვილი იქნება ჩვენთვის ერთურთის დახმარება; შეთანხმება-შესწორებით ჩვენს მომავალს მოქმედების გეგმას ერთფეროვნება არ დაეკარგოს და ცხოვრების მოთხოვნების დაგვარად გაიჩინოს და ჯეროვანს კალაპოტში მოთავსდეს.

— აუცილებლად საჭიროა მომავალშია ჩვენ შორის კავშირი. ყველა სიკეთესთან ჩვენი გულ-წრფელი ერთობა-კავშირი ძლიერ ბევრს ცხოვრებაში ბოროტის თვლიდამ აგვაცდენს. ყველა ქალები ერთხმად დაეთანხმნენ კატოს. ამ ლაპარაკში დიასახ

ვერ ვიქმის, რომ ინგლისი ამოდ ირწმუნა. არავის საბუთი არა აქვს სიტყვას, რომ დიდ-ბრიტანიას დათრები ერთა და კოქი აღჩუხედ არ უჯდება. ჯერ-კი აღჩუხა და მერვენახოთ რა იქნება. ტყუილად იტყვიან ზოგიერთი ვახუთები და ამტკიცებენ, რომ ინგლისს მარცხი მოსდისო, ლამის მართოდ-მართო დარჩეს პოლიტიკის მოედანზედა და მაშინ უღონოობისაგან ხმას ჩაიწყვეტსო. არავინ იცის, როგორ გავა და გამოვა ერთმანეთში ვერაბა, ვინ ვის მიეკედლება, ვინ ვის გაუწვდის ხელსა და საშველად მოიწვევს, თუ ის მაღლეთის საქმე აიშალა. ეს კი კარგად იცის ინგლისმა და სხვათა, რომ აღმოსავლეთის, ანუ უკედ ვსთქვათ, საქმე ოსმალეთისა იმისთანა რამ არის, რომ თუ აიშალა, ყველას თავისი საკუთარი ტკივილი, ცალკე თავში საცემი საქმე აუჩნდება და ეს უქვევლი გარემოება ბევრს მეგობარს ერთმანეთში გაჰყრის და ბევრს მტრებს ერთმანეთში დაამოყვრებს, დაამეგობრებს.

დღეს აღმოსავლეთის საქმე იმ ხანაშია, რომ ზოგი, ვინც მზად არ არის, ან თავის-თავს უღონოდ სცნობს, სცდილობს ეს მწვავე და მრავალ სატკივარის ამშლელი საქმე როგორმე დრომდე ჩააფუჩქოს, დაამინოს და ზოგი კი, ვისაც იმედი აქვს მოედნიდამ ბურთის ვატანისა, იღვწის, რომ ამ საქმემ ფეხს აიღვას და მით იძულებულ-ჰყავს ვერაბა თავისი სხელმწიფოები ერთმანეთში სხვა რიგად შეჰკრას და სხვა გვარი დამოკიდებულება აუჩინოს. ამ უკანასკნელ გზას ადგია ინგლისი-

### ახალი ამბავი

— ხვალ, 15 ნოემბერს, ქართული დრამატული დასი წარმოადგენს ხუთ - მოქმედებანს დიუმა - შვილის

ლისს მეორე ოთახში მცირე ვახშიმი მოემზადებინა და სტუმრები ვახშიმზედ მიიწვია. სიამოვნებითა და სიხარულით გაატარეს ვახშიმი ახალგაზდა კეთილის იმედებით აღტყურვილმა ქალებმა. ღამის ორ საათამდის სიამოვნებდნენ, დაულოცეს ერთმანეთს გზა, ასპარეზი და გულ-წრფელად შეჰფიცეს სიკვდილამდის ერთობა, სიყვარული, კავშირი არ შეეწყვიტათ. ნადიმე დროს შესაფერი სიმღერით დაბობლოვეს. გულ მხურვალედ გადაჰკოცნეს ერთმანეთი და დაიშალნენ.

#### II

აგრე ერთი კვირა გადიოდა, როცა თიკო თავისსამშობლო ქ. ს. — ში ჩამოვიდა. თიკომ დედას თავისი აზრი და სურვილი გადასცა და მომავალის სკოლის ყოფა-წარმატება ისეთის ვატაცებით აუწერა და ისეთის მომხიბლავის სურათებით შეამკო, რომ მოხუცებაში შესულმა ნენემ შვილის სიტყვები ჰემარტიტებად მიიღო და განუხსნებდრეალად ისიამოვნა. ლოცვადა ყველას და ყველაფერს, ვედრებოდა ღმერთს, რომ იმისი ერთად-ერთის შვილის შრომა და საკეთილდღეოდ თავის განწირვა დაეჯილდოებინა.

— მხოლოდ, დედი, დაუბატა თიკომ, მირველში ცოტაოდენი ფულია

ცნობილს დრამას „მარგარიტა გოტიე“. დრამა წარმოდგენილ იქნება საბენეფისოდ ქნ ავალიშვილისა, რომელიც ითამაშებს მარგარიტა გოტიეს როლს. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე საუკეთესო ჩვენი არტისტები: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, კ. ყიფიანი და ბ. გედევანოვი.

— \* \* \* \* \* „ჯეჯილის“ რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა აცხადებს ამ კვირის „კვალის“ ნომერში, რომ მომავალ წლიდგან განზრახვა აქვს „ჯეჯილი“ ყოველ-თვიურ ჟურნალად გახადოს. ვლ. სურვეთ პატივცემულს მოლოწეს — თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანოს.

— \* \* \* \* \* ტფილისის სახანო პალატის მმართველად დანიშნა ომსკის სახანო პალატის მმართველი ბ-ნი ვერტენიკოვი.

— \* \* \* \* \* ამბობენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის რემონტის ნაწილის უფროსს შეუდგენია პროექტი, რომელითაც სრულიად ახალი გზა უნდა იქმნას გაყვანილი რიონის სადგურადამ ბორჯომამდე გაფუჭებულ გზის მაგიერო.

— \* \* \* \* \* ხუთშაბათს, 16 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა მორიგი სხდომა დანიშნული. სხდომაზედ განიხილვენ მოხსენებას ი. ვ. ჩეპურკოვსკისას — რაოდენს სიტბოსა ჰკარგავს სახალით ავადმყოფის კანი, პ. ვ. სმირნოვისას — პირველი შემთხვევა ყელქივების წინააღმდეგ შრატით წამლობისა ქ. შუშუში, ი. ე. ოზაროვსკისას — 1) კეთროვანებისა და სხვა ქირთა საშუალო აზიაში გავრცელების შესახებ, 2) რამდენიმე სიტყვა მწერთა „კარაკონგუზ“ („კონგუზ-და-სიხა“) ის შესახებ და ს. ს. ლიუბიმოვისას — რამდენიმე სიტყვა ფილტვების ერთგვარად ანთების შესახებ.

საჭირო! სკოლა შესაფერად უნდა მოვაწყო და შესაფერივე სახლი უნდა დავიქირავო.

უკანასკნელი თიკოს სიტყვები ნენეს ცოტა არ იყოს არ ესიამოვნა, მაგრამ შვილის წყენას მაინც მოერიდა და ლმობიერად უთხრა:

— რად გინდა, შვილო, სახლი? აი ჩვენ ორს პატარა ოთახში მდფთავსდეთ და ნაპირა დიდი ოთახი სკოლად მოაწყე. ფული-კი, შვილო, დედა მოგიკვდეს, თუ მქონდეს!

— მაშ, რა ვუყო? როგორღაც დაღონებით წამოიძახა თიკომ, მაგრამ მალევე გამოიღარა. არა უშვას-რა. ჩვენი დიდი ოთახი პირველში კარგი იქნება; სკოლის მოწყობისათვის საჭირო ფულსაც ვიშოვნი.

— მერე, სად იშოვნი, შვილო?

— სადა? გაიღიმა თიკომ, ქალაქი, საზოგადოება პატარა არის. წარმოდგენას, სალიტერატურო საღამოს გავმართავ. იმედი მაქვს ყმაწვილ-კაცობა დამეხმარება... მაგრამ საქმეს დავგვიანება არ უნდა.

თიკო გატრიალდა. თავის ოთახში შევიდა, საჩქაროდ მოემზადა და პირდა-პირ ადგილობრივს სამოქალაქო სკოლის ზედამხედველთან წავიდა. თიკო დარწმუნებული იყო, რომ სასწავლებლის ზედამხედველი დავით ყორაშვილი, როგორც ნაცნობი და

— \* \* \* \* \* რედაქციამ მიიღო წიგნი: „შემოთხით მკვლარი. ქართველ სტუდენტების ცხოვრებლად“, პოემა ჯომელ მოწაფისა. გამოცემა ან. გოგიაშვილისა. წიგნი შეიცავს 18 გვერდს და ღირს ერთი შაური.

— \* \* \* \* \* როგორც შევტყუეთ, ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროსის ექიმის თანამდებობის აღმასრულებელს შუამდგომლობა დაუწვია ჯეროვან მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ტფილისის ქსენონში რამდენიმე საწოლი დაეთმოს იმ ავადმყოფებს, რომელთაც უკურნებელი სენი სჭირთ და საავადმყოფოში იმყოფებიან. საქმე იმაშია, რომ ეს ავადმყოფნი უკურნებლად არიან საავადმყოფოში, ვერც გაუწერიათ და იმათი დატოვებაც იქვე ძნელია, რადგან საავადმყოფოში ახალის, გადამდებ ავადმყოფებისათვისაც-კი ადგილი ვერ უპოვიათ. სულ საავადმყოფოში ამ ჟამად 200 ადგილია და ავადმყოფი-კი შიგ 220 მოთავსებულნი. ასეთს მდგომარეობაში, რასაკვირველია, ფრიად სასურველია, რომ ბ-ნ უფროსის ექიმის თანამდებობის აღმასრულებელის შუამდგომლობა აღსრულებულ იყოს და საავადმყოფოს შეძლება მიეცეს კარი გაუღოს იმ მძიმე, ვადამდების სენით შეპყრობილთ, რომელთა სენსაც შეგლა და ხსნა აქვს და რომელთათვისაც საავადმყოფო ერთად-ერთი თავ-შესაფარებელია და სენის განმკურნებელი ადგილი. საზოგადოდ უნდა შეენიშნოთ, რომ ბ-ნი პავლოვსკი, აწინდებული საავადმყოფოს უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი, დიდის გულის-ყურით ეკიდება საავადმყოფოს და ბევრი ახალი წესი შემოიღო, ფრიად საკეთილო საქმისათვის.

— \* \* \* \* \* ჩერნომორსკი ვესტნიკში და ბექელილია კორესპონდენცია, რომელიც შეეხება წყალ-დილობას და მისგან მომხდარს უბედურებას ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ: ოც-დარვა-და ოც-და-ცხრა ოქტომბერს წვიმა

ქართველი კაცი, უქვევლად დაეხმარებოდა. ამ იმედით განხედავებულმა თიკომ გაბედვით ჩამოჰკრა დავითის სადგომის ზარს. ბედზედ თიკოს დავითი სახლში დაჰხვდა, სტუმარს გამოეგება და დარბაზში მიიღო. მცირე უმნიშვნელო ლაპარაკის შემდეგ, თიკომ თავის მოსვლის მიზეზი უთხრა.

— დახმარება? ბატონი ბრძანდებით, რითაც-კი შემძლემა! რაც შეეხება მომავალი თქვენი სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვას, ამაში მე ერთობ უღონო ვარ! მაგრამ შემძლიან დავისახელოთ ვინმე, რომელიც სიამოვნებით იტვირთებს მაგ საქმეს და უქვევლად შეასრულებს კიდევ.

— ვინ არის? განა მე ვერ ვიცნობ იმ კაცს? შეეკითხა თიკო.

— არა მგონია, რომ იცნობდეთ. ის სულ ერთი წელიწადია, რაც მასწავლებლად დანიშნეს ჩვენს სკოლაში.

— მერე უცნობს როგორ მივმართო?

— გაცნობა განა ძნელია, მერმე მასწავლებლისა? აი ეხლავე მსახური გავუზახანი, აქ დავიბარებ და ერთად მოვილაპარაკოთ.

— დიდი მადლობელი ვიქნები. დავითმა მასწავლებელ ვანო პა-

კოკის პირუტყვი დასწავლა. წყალმა დაფარა რკინის გზის ღრინდებ და მისი მიდამო. წყალი თან-და-თან კლებულობდა, რომ უცებ მეორედ დაიწყო ამ გვარივე წვიმა ოც-და-ოქტომბერს. რიონი და მისი ტოტემი. ცხენის-წყალი გაერთდნენ ერთ ზღვად გარდაიქცნენ. წყალი გარს შემოერთდა ს. კულაშს, ორპირს, სამტრედიას და საქილაოს. სამტრედიის და საჯავახოს სადგურები მხოლოდ ნაგებით უდგებოდნენ. დიჩო რამდენიმე კაცი, დაიღუპა საქონელი და მცხოვრებთა საცხოვრებელი. ს. საჯავახოს ახლოს იპოვეს წყალში აკვანი, შიგ მწოლოარე მკვლარი ბაღლით. ხალხი თავის ვადსარჩენად სახლების სახურავებზედ და ხეებზედ აღიოდნენ. რაც-კი შესალებელი იყო, უბედურებაში მყოფთ შეგლოდნენ ნაგებით. ზოგიერთ მინდვრებში, საცა ჯერ არ მოეტყნათ სიმინდი, წყალმა წალოკა იგი. სიმინდის ყანები ყველაზედ უფრო მეტი ს. კულაშში და ჯავახანში გაფუჭდა.

ამავე გაზეთს ფოთილამ ატყობინებენ პირველ ნოემბერს: მთელი ქალაქი წყლით არის სავსე. წყალი დიდის 6 საათზედ 1 1/2 არწინდელ იყო. 7 საათზედ წყალმა თან-და-თან იმატა. მცხოვრებელნი ზოგი ფეხით გარბოდნენ, ზოგი ეტლებით და ასე შეგლოდნენ თავს. 9 1/2 საათზედ ნაგებით იწყეს ქალაქზე სიარული და ხალხის გადარჩენა. 11 საათზედ ქალაქის თავმა ერთად ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსთან მოაშალა სადგურებზედ ვაგონები ღარიბ მცხოვრებთა თავ-შესაფარად. 1 1/2 საათზედ პოლიციის ტერმა რუსეთის ზღაოსთან საზოგადოებას „პალატონს“ გამოართვა ორი „ბარქასი“ და თვით შეგლოდა წყალში დარჩენილს ხალხს. 2 1/2 საათზედ ავთივე „ბარქასები“ გამოართვეს რუსეთის ზღაოსთან საზოგადოებას „ნიკოლოზს“. 2 ნოემბერს წყალმა ერთმესამედ არწინდელ იმატა. სამს ნოემბერს საშინელი ქარი ადგა. წყალმა ორცილად შედ დაიწყო.

ტარაშვილის დასაძახებლათ მსახურ გაგზავნა. ვანო სასწავლებლის მასწავლებლად იღვა და თხუთმეტ წამში დავითთან გაჩნდა.

დავითი ვანოს დარბაზის შემოსავალს კარებში დაუხვდა, მიესალმა და ღიმილით უთხრა:

— პირველად უნდა გავაცნო ჩვენი ახალი თანამომე, აქაური მომავალი დედათა სკოლის დამაარსებელი და მასწავლებელი. ვანომ და თიკოს ერთმანეთს ხელი გაუწოდეს.

— ეხლა, განაგძო დავითმა, მეც და თიკო დიმიტრის ასულსაც ერთსა თხოვნელი გვაქვს და ყოველის უფროსს უთქმელად, უქვევლად უნდა ავგისრულო.

— თუ-კი შემძლემა, ადვილი მსახურია, ცოტა არ იყოს გაუბედვართ უხასუხა ვანომ.

— სწორედ რომ შესაძლებელია და ძლიერ ადვილი საქმეა თქვენთვის თქვენც იცით, რასაკვირველია, რომ ამით მსურთ აქ დედათა სკოლა დააარსონ. ამის ნებართვა უკვე მიუღიათ რა საჭიროა ვსთქვათ, თუ რა დიდ ტვირთი უქირათათ; ეს ცხადია ემშალა ჩვენ მასწავლებლებისათვის, მხოლოდ მათი ხვედრი უფრო მძიმე მაგრამ პატივსაღებია. ყველა ახალ საქმე პირველში უსათუოდ საჭიროებს საზოგადოების დახმარებას, უ-



ამავე საგნის შესახებ შემდეგი ცნობებიდან სჩანს, რომ შენობების ქვემო სართულები წყლით არის სავსე. ზოგ სახლებში მცხოვრებლები უნებურად მდგომარეობაში არიან: ვერც თითონ გამოდიან და ვერც რითიმე შეიძლება მათი გამოყვანა. ზარალი ძლიერ დიდია. მთელი ქალაქი გახიზნულია რკინის გზის გაგონებში და ნავთ-სადგურში. წყალი თუმცა კლებულობს, მაგრამ ძლიერ ნელა.

ამავე გაზეთს მდინარე კოროხის აღიდგენის გამო ატყობინებენ: მდინარეს ორივე ნაპირი დამრჩეველ საქონლის ლეშით არის დაფარული. ს. სიმგოთიძემ ოთხი სახლი მოიტაცა წყალში. ს. ირსა მთლად წალა-მა. ს. ბორჩხას ახლოს მდ. მერუ-ლამ მხარი იცვალა და ქოჩათ მავა-ლთა (КОЧЕВНИКИ) თავშესაფარი ალა-ჩხოხები დაიტაცა. ს. მარადიდის ახ-ლოს მოიტაცა ბორანი. მაკახელას-თან მოიტაცა რკინის ხიდი და 200 საეწეზედ წაიღო. ს. აქარის-წყალი წყალშია, მცხოვრებელნი ნავე-ბით დადიან. ართვინს ახლოს მცხო-ვრებლებმა თვალ-წინ წყალმა ჩა-ტარა ტივი ხალხით. მიწველებმა შეუძლებელი იყო; არავინ იცის რა მოუვიდოთ.

\* ჩვენ გვთხოვენ დაგვეტყუროთ შემდეგი: უსინათლოთათვის სამზრუნ-ველოს კავკასიის განყოფილების სა-ბჭო საჯაროდ აცხადებს, რომ პირ-ველ ოქტომბრისთვის განყოფილების კასსაში იყო 35,707 მან. და 23 კ. ოქტომბრის განმავლობაში შემოვიდა სულ 294 მან. 68 კ.; იმავე თვეში კასსამ ვასცა 1858 მან. და 72 კ.; 1 ნოემბრისთვის კასსაში ითვლება 34,143 მან. 19 კ.; ეს თანხა ინახე-ბა: 1) მიმდინარე ანგარიშზე სა-ხელმწიფო ბანკის ტფილისის განყო-ფილებაში არის 1249 მან. 18 კ.; 2) იქვე, შენახველ კასსაში, არის 2254 მან. 86 კ.; 3) იმავე ბანკში არის მომგებიან ქაღალდებზე 30,629

მისოდ კერძობით მოქმედება დიდ ზანძილს ვერ გაივლის, მაგრ... სამი-მწუხარო ის არის, რომ ადგილობ-რივი საზოგადოება მეტი ყურ-მოყ-რუბული და ტკბილად მთვლემარე ძნელად გაინძრევა და არ შეიტკი-ებს თავს, მერე დედათა განათლე ბისათვის. ეს ასეა მაგრამ თიკო დიმი ტრის ასულს საქმის დაწყებისათვის საქირო ფულის მოპოვებისათვის კე-რძო თხოვნა-ვედრების მაგიერ ვა-ნუზრახავს წარმოდგენა გამართოს; აბა უნდა გაიჩქო, ჩემო ვანო, შენე ბურად დატრიალდე და წარმოდგე-ნის გამართვა მოახერხო.

— სიამოვნებით, მაგრამ განა თქვენ-კი არ მოგესხენებათ რა დაბრკოლე-ბაც შეგვხვდება აქ?

— რა დაბრკოლება? შეეკითხ-თიკო ვანოს.

— ის, ბატონო, რომ ქაღალდის შე-სახებ ვსუსტობთ. აგერ ერთი წე-ლიწადა აქა ვარ და სულ ორჯელ ძლივს გავმართეთ წარმოდგენა. ისიც დიდი ლოდინობა-ფერობით დავი-თანხმე ქაღალდი.

— მაშ სრულიად ვერ ვიშვინით ქალს, რომ მონაწილეობა მიიღოს? კვლავ შეეკითხა თიკო.

— ერთის მეტი არავინ მეგულდება. — მეორე თითონ თიკო დიმიტ-რის ასული იქნება და თქვენც ისეთი

მან. 72 კ. და 4) კასსაში ნაღდი ფულია 9 მან. 43 კ.

**ქ ა რ მ ს კ ო ნ დ ე ნ ც ი ა .**

**ქარალეთი** (გორის მაზრა) ამ ბო-ლოს დროს დიდი ხნის სურვილი კა-რალეთლებს უსრულდებათ. ეს სურვი-ლის კოლის გახსნა იყო. ამოდენა დიდ სოფელს გვერდზედ პატარა სოფლე-ბით, რომლებიცდგანაც შეიძლებენ მოწაფეები სიარულს, დღემდე სკო-ლა არა ჰქონდა. ამ ცოტა ხანში ადგილობრივმა მამასახლისმა თ. ასი-კო ერისთავმა წარუგზავნა თხოვნა გორის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს და სთხოვა შუამდგომლობა, ვისგანაც ჯერ არს, სკოლის გახსნი-სა და შემწერბის აღმოჩენისა. პა-ტივცემულმა თავადმა თან სთხო-ვა კიდევ, რომ მზრუნველად ამ სკოლისა ისევე ამოიჩინოს მთავ-რობამ და პირდება ყოველგვარს შემწეობას, თუ მატერიალურს, თუ ზნეობრივს. დიად, მალე ექნება კა-რალეთს, პატარა და დიდ გარეგე-რებს სკოლა და წრევანდელი წელი წადი ღირს-შესანიშნავად დარჩება მი-სის ცხოვრების მატანეში.

საზოგადოდ, როგორც სხვა ზო-გიერთი სოფლები გორის მაზრისა, აგრეთვე ჩვენი სოფელიც, კენჭის საყრელად მიწვეულია არა იმ ადგი-ლებზედ, რომელიც ახლო სძევს, არა-მედ ვაცილებით შორს. მაგალი-თად სოფელ კარალეთიდან ცხინ-ვალამდე 18 ვერსია და გორამდე არა უმეტესი შეიღირვა ვერსისა. ჩვენებურები-კი კენჭის საყრელად მიჰყავთ ცხინვალში და არა გორში. კარგი იქნებოდა, რომ ეს განაწილე-ბა შეცვლილიყო. ისე შორს არ არის ჩვენი სოფელი ცხინვალზედ, არა იმეთი სოფლები ცხინვალზედ მიწურები, რომლებმაც ვხით გორ-

პიესა ამოარჩიეთ, რომ ორი ქალის მეტი არ იყოს საქირო, ჩაერია ლა-პარაკში დაეთით.

— ეგ შეიძლება! უპასუხა ვანომ.

— მაშ იმედი მქონდეს? შეეკითხა თიკო ვანოს.

— დღესვე მოველაპარაკები იმ პირთ, რომლებიც იმედიც მაქვს. თუ დავითანხმე, საღამოზედ გაცნობებთ. ხვალ ერთად შევიყარნეთ, პიესა ამოვარჩიოთ და საქმესაც შევუდ-კეთ.

— მაშ იმედი მექნება, უთხრა გამოთხოვების დროს თიკომ ვა-ნოს.

— ვეცდები, უპასუხა ვანომ.

თიკო ვახარებული დაბრუნდა სახ-ელში. ნენემ შვილს სახეზედვე შეატ-ყო, რომ ნასიამოვნები იყო, მინც ჰკითხა.

— სად იყავ შეილო და რა გაა-რიგე. — საქმე ძლიერ კარგად მიდის. დავითი და მასწავლებელი ვანო და-ხმარებას დამპირდნენ. ამ საღამოთი შემატყობინებენ ყველაფერს უპასუხა დედას თიკომ.

ში უნდა გაიარონ და კენჭი-კი ცხი-ნვალში ამოიღონ, როგორც უფლის ცინე, ტინის-ხიდი და სხვები. კიდევ ვიტყვი: საქიროა ეს განაწილება სოფლებისა კენჭის ამოსაღებად ხეი-რიანად განაწილდეს. წრეულს ჩვენ-ში ვ-ს შეხვდა კენჭი.

წრევანდელს მოსავალს ჩვენებურე-ბი ძლიერ უჩივიან. მოსავალი საშუ-ალოზედ ცოტა მეტი იყო პურისა და სიმინდისა. ფეხის მოსავალსაც (ლობო, მუხულო, ცერცვი და ბოს-ტნეული) არა უშავდა-რა. ხილი სულ თვალთაც არავის უნახავს, გარდა კაკლისა, რომელიც ადრე და ქიანდა და ღვინის მოსავალი ძლიერ ნაკლებად იყო. ღვინო წრეულ მე-ოთხედით არ მოვიდა კვლავინდელ შუათანა მოსავლისა\*). ამ გარემოე-ბამ დიდი უფულობა დაჰბადა ჩვენს ცხოვრებაში. პურის მოსავალსაც ბზის ფასადა ჰყდიან. გორის მაზრაში ფუთი 25 კაპ. 35 კ. ზევით არ აღის. სიმინ-დი ფუთი 20—25 კ., ქერიც ამავე ფასად. მხოლოდ ხილსა აქვს ეხლა ფასი, გორის მაზრაზედ მსხალი და ვაშლი ფუთი 1 მ.—60 კაპ. აღის. მაგრამ ეს ხილი მხოლოდ ცხინვალის ახლო-მახლო სოფლებში მოვიდა ცო-ტა რამე და ჩვენში ყვავილშივე გა-სცივდა. სამუშაოდაც გლეხ-კაცო-ბა შორს ვერსად მიდის. გორს იქით და აქ მუშის დღიური ფასი ძლიერ დაწეულია—25—30 კაპ. რა ქნას გლეხ-კაცობამ, მეტადრე საბატონემ; ან ფოსტის ფული, ან ნადელის გა-მოსასყიდი როგორ შეიტანოს წრე-ულს ხანაში?

ჩვენში ამ ზაფხულს დღისით ცეც-ხლი გაჩნდა და ხუთი-ექვსი სახლი გადაიწვა. აგრეთვე ბევრი სიმინდის ჯინები დაიწვა. იქვე ახლოს, სადაც ცეცხლი გაჩნდა, დგას ჩვენი ხის სასოფლო პურის მალაზია, რომელიც განგებით გადაჩა და დაგვიფარა ღმერთმა. სოფლებები ერთმანეთს

\* მიწები მოუსავლობისა იყო ადრეული სიტყვები და სოკოსებური ავადმყოფებანი ნაწარი, ობი და აგრეთვე სიყვითლე.

ემზადებოდა.

აგერ წარმოდგენისათვის დანიშ-ნული დღეც გათენდა. მთელი დღე სცენის მოყვარულნი ფაცა-ფუცო ბდნენ, ცოდვილობდნენ... ზოგი სცენას აწყობდა, ზოგი ტანისამოსის საზოგნელად დარბოდა. საღამომ მოაწეა. თეატრის დარბაზს საზოგა-დოება მოაწყდა. ვანო საშინლად იყო გაკვირვებული მაყურებელთა სიმრავლით, თიკოს-კი ეგონა, რომ ასე უნდა ყოფილიყო. „საზოგა-დოებას წარმოდგენის აზრი იზიდავს და არა ჩვენი ხელოვნება“, ფიქ-რობდა თიკო ჯ გულის ცახცახით ელო-ოდდა ფარდის ახლას. თიკოს თან უნდოდა და თან ეშინოდა. პი-რველად სცენაზე გამოსვლა აშინებდა თიკოს. მერე იმ საზოგადოების წინ, სადაც იგი აპირებდა შრომას.

აგერ ფარდა აიხდა. თიკომ ცივი წყალი ჩაყლაპა და გაბედით გამო-ვიდა სცენაზე. ცქრილა, ლამაზს თი-კოს სცენაზე გამოსვლა მეტის-მეტად ჰშვენიდა. საზოგადოებამ პირველივე თიკოს გამოსვლა ტაშით და „ვაშა-თი“ დააჯილდოვა.

წარმოდგენა მწყობრად, რიგთანად დასრულდა. ეს გარემოება ისე არ ახარებდა თიკოს, როგორც წარმო-დგენილამ შემოსული ფულის რაო-დენობა. ვანო ხომ გაკვირვებული

დახმარენ და ცოტა რამ სახლები აიშენეს ისევე, ზოგი ჯერ-ჯერობით თავის მეზობელს შეეხიზნა. მიწები ცი-ხლის განჩინა ჯერაც არ ვიცით. ჩვენში სულ მთლად საბატონო ხალხია და თუ ურევია, ისიც ცოტა სახელმწი-ფო გლეხები. ამ საბატონო გლეხებს, გარდა ხუთ-ხუთი დესეტინა მიწისა, რომელიც ნადელში მიუღიათ ბატო-ნისაგან, აგრეთვე მთელ სოფელს მი-უღია კარგა დიდი ადგილი, რამდენ-იმე ათეული დესეტინისა „ნადელ გარედ“, სასოფლოდ, ისე როგორც რუსეთის ზოგიერთ სოფლებში, „მირ-სკოი ნადელი“. აი ეს ადგილი გახდა ჩვენში ახლა სადავიდარბოდა. თუმ-ცა ათ წელიწადზედ მეტია გასული, მაგრამ „ბატონი“ თავისად ჩემუ-ლობს, გლეხობა თავისად. ახლა იმ გლეხებშიაც ზოგიერთს დიდი ნაჭრე-ბი აუღია, რამდენიმე დღიური და ან ვენახი, ან სასარე ნერგი გაუშენებია ზოგს-კი ერთი კვალიც არა რგებია. ახლა აჯანყდა ერთმანეთში გლეხ-კაცობა და ამბობ, ისევე ძველებურად უნდა იყოსო. სწორედ ამ მიზეზმა გამოიწვია ერთი სამწუხარო შემთ-ხვევა. ამ ცოტა ხნის წინად მთელი სოფელი ცულეობით დაადგა კვიტიტა გოგიაშვილის ახალშენს და მრავალი ნერგები და ხილი გაუჩეხა, რადგან ეგ სასოფლო ადგილია და მარტო შენ არ უნდა გეპიროსო. ადგილობ-რივი ბოქაული ჩიკოიძე მოვიდა აქა, ოქმი შეადგინა და გადასცა, ვისიც ჯერ არს. არ ვიცით, როგორ იქნება ახლა საქმე.

კარალელი გლეხი.

**აქარის წყალი.** 28 ოქტომბერს დილიდგან დაიწყო საშინელი წვიმა, აღიდა წყლები თან-და-თან და უკა-ნასკნელი ძალა იხმარა შუალამის შე-მდეგ; რაც ახლო-მახლო ნაპირებზედ შენობები და სასიმინდეები იყო, სულ წაიღო. კაცი ბევრი იმსხვერპლა, ოთხ-ფეხი საქონელი და ფრინველე-ბი ხომ რასაკვირველია. აქარის წყლის რკინის ხიდს იატაკი აპყარა

იყო. თვრამეტი თუმანი ხუმრობა სა-ქმეა? მერე იქ, იმ ქალაქში, სადაც წი-ნა წარმოდგენების შემოსავალი ორ თუმანს არ ასცილებოდა. „რითი აი-ხსნება ეს,“ ფიქრობდა ვანო. ბევრ გვარად იზრა და ბოლოს გადაწყვე-ტითა სთქვა: „ახალგაზღა თიკოს პა-ტიოსანი განზრახვის თანაგრძნობა და სხვა არაფერი...“

წარმოდგენამ მასწავლებელი ვანო და თიკო საქმოდ დაახლოვა. თიკომ ვანოსავე რჩევით და ხელ-მძღვანელო-ბით მოაწყო თავისი სკოლა და მო-სწავლეთა თვიური სწავლის გადასა-ხადი ფასი ორი მანეთი დააწესა იმ განმარტებით, რომ შეუძლებელი მა-სწავლებლის მოსაზრებით ორ მანე-თზე ნაკლები გადახდვიონ...

დრო, რომელსაც თიკო მოუთმენ-ლად ელოდა, მალე დადგა. ახალს სკოლას სწავლის მსურველნი საქმოდ მოაწყდა. მასწავლებელმა თიკომ მხოლოდ ოც-და თხუთმეტი ბავშვი მიიღო, დანარჩენებს-კი უადგილობის გამო უარი უთხრა.

დიდ მნიშვნელოვანი დღე იყო თიკოსათვის 188—წ. ენკენისთვის პირველი რიცხვი. ეს დღე თიკოსთვის საზოგადო საობიელზე გამოსვლის პი-რველი ნაბიჯი იყო. სულით და გულით ნასიამოვნები თიკო პირველი დღის გაკვეთილების

და რამდენიმე ნაწილი რკინის ხიდი დასტება; გადადებო ბურჯებიდან ვერ გადაადგო, თუმცა ერთ არაშინზედ მეტი წყალი გარბოდა იატაკის ზე-ვით. აქარის წყალზედ ორი ხიდი დარჩა უვნებლად: ცხობრისის ახალი რკინის ხიდი და მანხუცეთის ძველის-ძველი ქვის ხიდი. აქაურები ამ ხიდს ეძახიან თამარ დედოფლის ხიდი. და-ნარჩენი, რაც ხიდები იყო, გზათა სამინისტროსი თუ სასოფლო, სულ მოსპო. ს. ვაჯანიშვილგან საყარაუ-ლო სახლი წაიღო, მძინარე შიგ მყოფი შვიდი კაცი გაგვიტყუა აქარის წყლის ტალღებმა იმსხვერპლა. 29-ს დილიდგან წყლებმა იკლო, მაგრამ ისე არა, რომ საშიში არ ყოფილი-ყო. რადგანაც განუწყვეტლად სწვი-მდა, 30-ს შუალამის შემდეგ და 31-ს დილას წყლები საშინლად აღიდა. შემინებული ხალხი წყლის მახლობ-ლად ვეღარ დადგა: გარბოდნენ მთა-გორებში და სტიროდნენ: „ქახირ ზამანი“, წარღვნა მოვიდაო. ჯერ არა-ვის არ ახსოვს, რომ სამი-ოთხის დღით ამნაირი აღიდებული ყოფი-ლიყო წყლები და ან ამოდენი ზა-რალი ექნას. საუბედუროდ პირ-ველი აღიდება წყლებისა მოხ-და შუალამის შემდეგ და ბნელს დამეში; გასაქცევი გზა ვერ იპო-ვეს, რომ თავისთვის ეშველოთ და უბედურება არ სწეოდათ. მაქახ-ლის-წყლის რკინის ხიდი ბურჯე-ბიდან გადაადგო და კოროხის ნა-პირამდის მიიტანა. ართვინის რკინის ხიდი კოროხს კახაბრის მინდორში ჩამოუტანია მრთელად, 80 ვერსის მანძილზედ. მარადიდის მახლობლად კოროხმა ქურთების სამი სახლო-ბა წაიღო, 12 სული ქალი და კაცი. სოფ. მაქახლის პირიდგან ერთი ქვიტიკრის სახლი წაიღო ქო-როხმა მთლად თავისის ავეჯეულო-ბითა და საქონლით; კაცებმა ძლივ-ძლივობით გაასწერეს. ს. ბორჩხიდან თუთხმეტამდის სახლი და ღუქები წაიღო. ჯერ-ჯერობით არავინ არ იცის, სად რამდენი ზარალი მოახდი-ნა წყალმა და ან რამდენი კაცი

გათავების უმალ, სამწერლო მაგიდას მოუჯდა და თავის ამხანაგს ნინოს გრძელი წერილი მისწერა. დაწერი-ლებით აღნიშნა საზოგადოების გულ-მხურვალე დახმარება, გაცხოვლებუ-ლი სურვილი სწავლისა და გულ-მტკივნეულად დაუმატა: „უალაგობის გამო სკოლაში შემოსვლის მსურვე-ლი, საუბედუროდ, ყველა ვერ დავა-კმაყოფილე. მინც ზემო აღნიშნუ-ლი საზოგადოების ჩემდამო გულ-წრფელობა, ჩემი სკოლის გადიდე-ბის იმედს მაძლევს. დღევანდელი დღე, ჩემო ნინო, ჩემი მომავლის ცხოვრების დღიურში სხვილის ასო-ებით აღვებქვე. ეს ნეტარი დღე იქ-ნება ჩემი ცხოვრების გზის მანათო-ბელი. რაკი პირველშივე საზოგადო-ების ყურადღების ღირსი ვახვდი, ყოველ ღონეს ვიხმარ და ცდას არ მოვაკლებ საზოგადოების მკვიდრი და მშენი... გავიხაროთ, დაო, ჩვენი დღევანდელადის ოცნებად აღიარე-ბული იმედი განგვიხორციელდება და კბილს მოსჭრის დედათა სქესის ავად მახსენებელს... თიკომ წერილი გადათვალთვინა და სახეზედ კმაყო-ფილების ღიმილი მოეფინა. დაბეჭდა წერილი და თითონვე წაიღი ფოს-ტაში. (შემდეგი იქნება.)



დაირჩო, რადგან გზა და ხიდები არ არის და მიმოსვლა შეწყვეტილია. ტელეგრაფის ბოძები წაღებული არის კახაბერში, ერგეში, მარადილში და სხვა ადგილებზედაც. აქარის და ართვინის გზებზე ზევეები არის ჩამოწოლილი, თითქმის ყოველ ას ნაბიჯზე. რაც ქვის კედლები იყო გზისათვის აგებული წყლის ნაპირებზე, სულ ჩამოწოვილი და წაღებულია. ქორხის, აქარის და მახახლის წყლების აღიდება ერთს დროზედ მოხდა. ამ გაგვიბრუნებდა წყლებმა მიაშურა კახაბერში. იქ მყოფმა ხალხმა ვერსად გაასწრო, მხოლოდ გავიდნენ ხეებზე და სახლების სახურავებზე ასტეხეს თოვების სროლა ნიშნად იმისა, რომ გვიშველეთო. 29 ს. ვათენებამდის სამი საათი იქნებოდა, რომ ბათუმის ოქლის უფროსს პ. ზაგანის მოახსენეს ხალხის გაპირებებზე; ამან თანაშემწეთი და მილიციონერებით მიაშურა ქ. ბათუმშიდან კახაბერს, დაიბარა დროებით ზღვის ფილუგები და ს. სტეფანოვსკიში მცხოვრები ახახები გამოიყვანეს. იმავე დროს გაგზავნილ იქმნენ მილიციონერები ახალშენის გზიდან კახაბერში. იქ ეგულეობდათ ნავეები, რომელსაც დაავალა მიშველება ს. თოფალოვლებში და მართლაც კახაბერში. აღმოჩნდა ოთხი ნაგი და გაემგზავრნენ მისაშველებლად. სადაც-ც შეიძლებოდა მისვლა, მისცურეს ნავეებმა და გაქრებულნი ხალხი გამოიყვანეს.

აქაურს მოხუცებულებს არ ახსოვთ, რომ ამოდენა ზარალი მოედნოს წყლებს; თუმცა 1876 წელს ყოფილა წყალდიდობა ამა დროს, მაგრამ მოხდა რა დღით და ხალხს მოუწერია თავისთვის შველა და არავითარი ზარალი არ მოსულიათ.

ლ. ანდლუაძე.

1 ნოემბერს, 1895 წელს.

**შურნალ-გაზეთები და**

ამოკრებილი ამბები.

— მიწათ-მოქმედების დეპარტამენტი აპირებს დაბეჭდვას იმის სახელმძღვანელოსას, თუ როგორ უნდა მოვლა, პატრონობა ამერიკულს ვახსა, რომელსაც ფილოქსერა ვერას აკლებს. ამ სახელმძღვანელოს შედგენა მიწდობილი აქვს ბ. მს. სტროევის, რომელსაც ამისათვის საჭირო ცოდნა შეუძენია სამზღვართ-გარეთ. (5. ვ.)

— ამ მოკლე ხანში საბოლოოდ გადაწყვეტილი იქმნება, რამ დადგენილ იქმნას პირდაპირი მისვლა-მოსვლა და საქონლის გადატან-გადმოტანა ამიერ კავკასიის და იმიერ კასპის რკინის გზებზე შორის (5. ვ.)

**უცხოეთი**

**ოსმალეთი.** კოსტანტინოპოლი-დამ სწერენ „სტანდარდს“, რომ სულთანმა ბრძანება გასცა ნახევარ მილიონი ჯარის-კაცი შეიარაღონო-ამხედ მიწისტრები დაეკითხნენ, საილამ გამოვებნოთ საჭირო საშუალებანიო; სოლთანი გარისხდა. ზოგიერთმა მიწისტრებმა თხოვნა მიატოვეს სულთანს, სამსახურილამ გადავდგებიოთ, მაგრამ სულთანმა თხოვნა არ მიიღო. კოსტანტინოპოლში, მეჩეთებზე, სარეგოლიუციო

შინაარსის მოწოდებანი გაკრული. ასეთისავე შინაარსის წერილები იწოდენეს სულთანის სასახლეშიაც, მაგიდებზედ.

— „დაილი ხრონიკლ“-ი იუწყება, რადგანაც საქმეებმა ახალი მიმართულება მიიღეს, კერძო პირ და-პირ კოსტანტინოპოლში არ წავა ჯერ, არამედ შევიდის პარისში, სადაც ორს დღეს დაჰყოფს და დაწერილებით მოელაპარაკება სავარყო საქმეთა მინისტრს დიუჭფერენის თანადამსწრებითაო.

**რუსული ოპერები.**

კვირას, 12 ნოემბერს, რუსულმა საოპერეტო დასმა წარმოადგინა სამოქმედებანი ოპერეტი ოფენბახისა „მშვენიერი ელენე“. პიესამ საუცხოვოდ ჩაიარა იმის წყალობით, რომ თვით ელენეს როლს ასრულებდა ქ. ნ. დობროტინი, რომელსაც საუცხოვო ხმა აქვს, სცენაზედ გამოცდილი და დახელოვებული არტისტი ქალია და მშვენიერი ვარგებობაც სწორედ ხელს უწყობს ამ როლის შესრულებისას. ამ არტისტის ქალის თამაშობას მხარს უჭერდნენ აგრეთვე პარისის როლის აღმასრულებელი ბ. ნი. ვილინსკი და მენელაის როლი-სა ბ. ნი. ვოლოგინი. საერთოდ ოპერეტმა ძალიან მწყობრად ჩაიარა, მხოლოდ ეს-კია, რომ საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. ვინც-ც დაესწრო, ისინი დიდად ნასიამოვნებნი დარჩნენ და კმაყოფილნი გამოვიდნენ თეატრიდან.

**წერილი ამაგი**

ასოთ-ამწეობთა ავადმყოფობანი. გერმანელს ექიმს გეიმანსს 37 წლის განმავლობაში უღვენება თავაი ასოთ-ამწეობთა ცნობებისათვის და შედეგად დასკვება გამოუყვანას სტატისტიკურ ცნობებიდან იმის შესახებ, თუ რამდენი ასოთ-ამწეობა გვდება. შედარებით სხვა სეკლასთან, ბერლინში ასოთ-ამწეობანი საშუალოდ უფრო ნაკლებს ცნობს. ამ შემთხვევაში მათი სეკლას ბერლით აღარ ჩამორჩება ფოლადის მქობებათა სეკლასს, რომელიც დადი ხანია ცნობილია, როგორც მკუე და აუტანელი თავისის სიმძლავით. ასოთ-ამწეობთაგან თითქმის ნახევარი ჭკეპითა გვდება (49%), რაიც სხვა სეკლასის ხალხს შორის ძალიან იშვიათი მოვლენაა. ასე მკ. ას კანში ჭკეპითა გვდება:

ასოთ ამწეობ-დანარჩენ მე-თავან. შს ხალხთაგან

1891 წ.	46,03	34,41
1892 წ.	43,93	33,23
1893 წ.	46,37	30,75.

საზოგადოდ გულის სხვა-და-სხვა რგანთათ ტკეილა მეტად გავრცელებულია ასოთ-ამწეობთა შორის; გავრცელებულია აგრეთვე ქალებით ავადმყოფობას; ძალიან ხშირს მოვლენას შეადგენს ავადმყოფობა—ტუყით მოწამლვა; ამათ ეკუთვნის, სხვათა შორის, „ნერვების დაუძლეურობა“, „ეგუქის მოშლა“ და სხვანი. ასოთ ამწეობთა ავადმყოფობას მიზეზი უმეტესად არის სტამბების ატმოსფერო და ჭკაობი, რომელიც ტუყის მტრითაა სჯეს. ამისათვის სწორია ისმარან ყოველგვარი ჭკეიბურა საშუალებანი, რომ როგორც შე-

დირჯეს რიცხვი ამ განთლების მსხვერ-ზლითა. (Deut. Medicin. Wochenschr. 1895 წ. № 39).

**წერილი რედაქციის მიმართ.**

უმარწილესად გთხოვთ ნება მიმომოთ თქვენს გაზეთის საშუალებით „წერა-კითხვის საზოგადოების“-მერს ასევესეში დასრულ „სასახლა სა-მკითხველს“ მკითხველთა მაკაერ უგუ-ლითადაცა მადლობა გამოუცხადო ქვემო აღნიშნულ მით, რომელთაც ასე თუ ისე დახმარება აღმოუჩინეს ჩვენს სამკითხველს.

- 1) წმ. მარინის მღვდელს სკ. ჭუ. ჭულაშვილს, რომელმაც შემოსწირა — 6 მანეთის ქართული სხვა და-სხვა წიგნები; 2) მ. ს. დურგლი-შვილს 1 მან. 75 კაპ. ქართულ-რუსული წიგნები; 3) ექსკვი სხალაქს 6 მანეთის რუსული წიგნები; 4) სტ. გრ. ურასვილს — 4 მანეთის რუსულ-ქართული წიგნები; 5) გ. ა. მეფისა-შვილს 2 მ. 50 კ. ქართული წიგნები; 6) ვ. სტ. ფირაღაშვილს — ერთი მანეთის ქართული წიგნები; 7) ივან-გაბრიელის ძე ასათიანს — 24 რუსულ წიგნები; 8) კლისაბუღ ნიკოლაშის ასულს ყაზაბუგს — 3 მან.; 9) ფიფ-ულა-ბუკ ათაბეგოვს — 3 მან. და რამდენიმე რუსული წიგნი; 10) ზოგაე-რთ ზირებს, რომელთაც წიგნები შემო-სწირეს და თავიანთის ვინაობას გამოცხადება-კი არ ინდამეს; 11) კლისა-ბუღ დაკითხის ასულს ქაჩუხაშვილისას — რამდენიმე ქართული წიგნი და 12) ტფილისიდან ქ. ნ. ოლგა ბუქნიშვილი-საგან მივიღეთ იქ შეტრეილი ჩვენი სამკითხველს სასარგებლოდ ქართული წიგნები 11 მანეთის და 10 მანეთი და ერთი აბაზი (1 მ. 20 კ. გამოკლებით; ფულის და წიგნების გამოგზავნა და-უსწრჭკათ.) ფულთა.

სამკითხველოს მდივანი და ხაზინადარი გ. ბურჭულაძე.

ეგუზანი რედაქციას 20 მანეთის ფულს და ვთხოვ გადასცეს იმ კომიტეტს, რომელიც განაკებს თავადის რაფიულ დაკითხის მის ერისთავის ფინანსსაქმეს.

სია შემომწირველთა: ილია და ნინო მჭკარაბაძე 2 მ., თაე. ზაქამი ავა-ლიშვილი 2 მ., მისედე დიმიტრის ძე ბუკაევი 2 მ., კნინა ეკატერინე ამი-ლანსკასამ 1 მ., კნინა მარამ ნიკო-ლაშის ასულმა მანაბლისამ 1 მ., თაე. ზაქარია ფაფქიშვილი 1 მ., თაე. ვასილ დაკითხის ძე თაქთაქიშვილი 1 მ., დიმიტრი ალექსანდრეს ძე დაკითხ-შვილი 1 მ., ალექსანდრე გრაივლის ძე დაკითხიშვილი 1 მ., ალექსი სტე-ფანეს ძე ივანოვი 1 მ., ნიკო თვალა-შვილი 1 მ., გიგლა და მიტა დაკითხ-შვილებმა 1 მ., მღვდელმა იოანე დაკი-თიშვილი 1 მ., მღვდელმა იაკობ ოქ-რობიანიშვილი 1 მ., მღვდელმა იოსებ გა-ზანაძემ 40 კ.; მღვდელმა დაკითხ კახანა-ძემ 50 კ.; მღვდელმა ვლადიმერ სამ-ხარაძემ 40 კ.; გიორგი ზაქარიას ძე კოტაიშვილი 10 კ.; ზაქარია მეტრე-ველი 5 კ.; სიკო ჭყავაშვილი 15 კ.; იაკობ ჭყავაშვილი 5 კ.; იოსებ ზატა-რაშვილი 25 კ.; ალექსი ომაძემ 10 კ. და ზოდორუნიშვილმა კოსტანტინე გამყრეა-ძემ 1 მ.

ილია დიმიტრის ძე მჭკარაბაძე.

**დეკემა**

(რუსეთის დეკემბრის სააგენტოსაგან).

13 ნოემბერი.

**პეტარბურგი.** 12 ნოემბრის ბიულეტენი: ხელმწიფე იმპერატრიცა მალე სრულიად კარგად შეიქმნება; ღონე სისწრაფით უზრუნდება. აგრეთვე ახლად დაბადებული კარგს მღვამარეობაშია. ბიულეტენი ისპო-ბა.

**მოსკოვი.** მოსკოვის ვაქართა სა-ზოგადოებამ დაადგინა: დიდის მთავ-რინა ოლგა ნიკოლოზის ასულის დაბადებისა გამო აღუქსანდრე-მარი-ნეს სასწავლებელში გახსნას ათი სტიპენდია სრულიად ობოლ მოწე-ფე-ქალთათვის ვაქართაგან; აგრეთვე აღარ გადაახდვიინოს 25,000 მანე-თი ნედლიმკა უუღარიბებს ვაქარებს.

**კონსტანტინოპოლი.** ის ამბავი, ვითომ სულთანს ხელი მოეწეროს ფირმანზედ, რომ დარდნელის სრუ-ტეზეთ კანონებებს თავისუფლად შე-ეძლოთ ვაგლა, როგორც ჩანს აჩ-ქარებული თურმეა.

**ბანსხალუბანი**

**ბირეული კერძო სამეურნალო** ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, კარანცივის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს ვარდა. დიღობით: ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულბანი სახი-რურგო, ვენერიული და სიფილისი. შ. მ. ჩაქვანი, 9—10 საათ. სნე-ულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერ-ვებისა.

ექ. ქალი ა. ო. პარაკიან შჩერ-ბინანისა, 10—11 საათ. ანეულბა-ნი: დედათა სქესისადა შინაგანი. ო. ფ. პარაკიანი, 12—1 სა-ათ. სნეულბანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მეგრისა.

**ანგარიის მდგომარეობა**

ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ნდობის საზოგადოებისა (ახალი ბან-კისა) 1-ლ ნოემბერს 1895 წელს. (ახალმა ბანკმა დაიწყო მოქმედება 17 ივლისს).

ქტეივა	
I კასპში არის ნაღდი ფული	5,572—95
II სახელდახელო ანგარიშზედ საკომერციო ბანკში არის	3843—
III თამასტეებით გაცემულია	51,495—
IV სახელმწიფო და სხვა პროცენტან ქალაქების გირა-თით გაცემულია	970—
V საზოგადოების ხარჯი: მიმდინარე	3,551—01
დასაბრუნებელი	152—56 3703—57
VI მოწყობა და მომართვა	925—72
VII გერბის მარკები და თამასტეების ქალაქი	4—75
VIII გარდამავალი თანხა	302—02
	<b>8. 66.817—01.</b>
შასეკა	
I ძირის თანხა (წევრთაგან შემოტანილი ფული)	47,410—
II სარგებლისათვის შემოტანილი ფული:	
სახელ-დახელო ანგარიში	1190—
ვალდებულებები	15,196—30 16,386—30.
III შემოსული სარგებელი	1895—24.
IV გადამავალი თანხა.	1123—64.
V სხვა-და-სხვა წვირომანი შემოსავალი.	1—83
	<b>8. 66.817—01.</b>
საზოგადოებას აქვს შესანახად მობარებული პროცენტის ქალაქები.	8. 4,000.

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სნეულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

სადაზოობით: ო. ფ. პარაკიანი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. გ. გურგუა, 6—7 საათ. სნეულბანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათ. ათმდის.

ბ. გ. გურგუა. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ. რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით, სამკურნალო საწილიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დარქტორი სამეურნალო დარქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

(857—1468)

**ტფილისის ექიმი**

**ა. ი. ორბელი** სოლოლაკზედ, საკუთ. სახლში № 14—16 ავადმყოფების მიიღებს: დღით 10-ღან 2 საათამდე. საღამოთი 4-ღან 6 საათამდე. კვირა-შაბათ დღეებში დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე. (166—1891—47).

**ენსეინან სოფელ-გრიგორიანთა**

სამინარის სამეურნეო საზოგადოებისა 15 ნოემბერს, 1895 წელს, საღამოს 8 საათზედ, მოხდება საჯაროდ გაჭრება, რათა იჯარით იქმნას მიცემული ოთხის წლის ვალთ ამ 1896 წლის 1-ლ იანვრიდან ძირის სართული იმ შენობისა, რომელიც ეკუთვნის ამავე სამინარისა და სადაც იგი იმყოფებოდა; ეს შენობა მოთავსებულია ქ. ტფილისის III განყოფილებაში, სალდათის ბაზარში, აქვს სულ 36 დუქანი საყინულეთი, სარდაფებით და კარბილორით შუაგულ შენობისა; ამ ქამად წლიურად იჯარის ფასი შემოსდის 8,015 მანეთი. იჯარით ვაცემის პირობები მსურველთა შეუძლიანთ ნახონ ამ სამეურნელოს კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10-ღან ნაშუადღევს 2 საათამდე, გარდა კვირა-შაბათებისა. (1—1).